საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ლევან ნემსაძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	24	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	24	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20
პროფესიული თვისებები	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	6	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	91	100

სახელი, გვარი: გიორგი გზრბავა

თარიღი: 25.06.2025 წ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

გიორგი გზობავა

„ 25 “ ივნისი, 2025 წელი **თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გიორგი გზობავამ, მივიღე რა მონაწილეობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 10 აპრილის №1/35 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევის პროცედურაში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მოვახდინე კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **ლევან ნემსაძის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. შეფასების პროცედურის შესახებ:

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 10 აპრილის №1/35 განკარგულებით ჩატარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე განწესების მსურველი კანდიდატის შერჩევის პროცედურა, წარსადგენი კანდიდატის შესარჩევად.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 16 მაისის №1/38 განკარგულების შესაბამისად, წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის მიღების მიზნით დარეგისტრირდა **ლევან ნემსაძე.**

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა და წარმოუდგინა საბჭოს ინფორმაცია შესაბამისი კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

- „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2025 წლის 12 ივნისს, ჩემი მონაწილეობით, ჩატარდა კანდიდატ - **ლევან ნემსაძის** საჯარო მოსმენა.

- საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „ორგანული კანონის“ 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, „კანდიდატი“, როგორც საამოსამართლო გამოცდილების

არმქონე კანდიდატი, შევაფასე - „ორგანული კანონის“ 35[1] მუხლის მე-15-მე-16 პუნქტების შესაბამისად.

1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

კანდიდატი **ლევან ნემსაძე** არის დამოუკიდებელი, სამართლიანი, გულისხმიერი, საქმისადმი ერთგული, კორექტული და კომპეტენტური. მას სწორად აქვს გაანალიზებული მისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობა და ფინანსურ ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. ამასთან, კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას - გამოკითხული რეკომენდატორები და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირები აფასებენ დადებითად. მის მიმართ დისციპლინური დევნა არ ყოფილა დაწყებული.

დასკვნა: ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან კანდიდატი აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს, მიმაჩნია, რომ წარმოდგენილი კანდიდატი - **ლევან ნემსაძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

2. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

2.1. სამართლის ნორმების ცოდნა

კომპეტენტურობის კრიტერიუმის შემადგენელი მახასიათებლის - სამართლის ნორმების ცოდნის კუთხით შეფასებისას უნდა ითქვას, რომ **ლევან ნემსაძე** სისხლის სამართლის მიმართულებით ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. გასაუბრებიდან მიღებული შთაბეჭდილების შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი იცნობს სისხლის სამართალის ნორმებს, საპროცესო კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართალს, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს და ეცნობა კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს. კანდიდატი სწორად იყენებს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს. აღსანიშნავია, რომ კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

დასკვნა: კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ლევან ნემსაძე** უნდა შეფასდეს 24 (მაქსიმალური ქულა 25).

2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია

ლევან ნემსაძეს აქვს სპეციალობით მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება, მათ შორის სასამართლო სისტემაში, ამჟამად არის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი.

გამოკითხული რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან და რეკომენდაციებიდან გამომდინარე, კანდიდატს აქვს ანალიტიკური აზროვნების უნარი

და მაღალი კომპეტენცია, შესწევს უნარი ლოგიკურად, კომპეტენტურად და სამართლიანად დაასაბუთოს სამართალთან დაკავშირებული საკითხები თუ პრობლემები.

<u>**დასკვნა:**</u> სამართლებრივი დასაბუთების და კომპეტენციის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ლევან ნემსაძე** უნდა შეფასდეს 24 ქულით (მაქსიმალური ქულა 25).

<u>**2.3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი**</u>

ლევან ნემსაძეს გააჩნია ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი, აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს, მეტყველებს გამართულად, აქვს უნარი მოთმინებით მოუსმინოს სხვის აზრს. საჯარო მოსმენაზე კანდიდატი იყო საკმაოდ მობილიზებული, მსჯელობდა არგუმენტირებულად, საკუთარ შეხედულებებს გადმოსცემდა ნათლად და გასაგებად. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს უმეტესწილად პასუხობდა სწორად და გასაგებად.

კანდიდატის წერის უნარს რაც შეეხება, მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი ნაშრომის შესწავლის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატი წერილობით აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს, ტექსტი არის გამართული და დაინტერესებული პირებისათვის არ არის რთულად აღქმადი. მასში რაიმე თვალსაჩინო გრამატიკული ხასიათის შეცდომა არ გამოვლენილა.

<u>**დასკვნა:**</u> წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ლევან ნემსაძე** უნდა შეფასდეს 18 ქულით (მაქსიმალური ქულა 20).

<u>**2.4. პროფესიული თვისებები**</u>

რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივი თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან გამომდინარე, კანდიდატი გამოირჩევა პუნქტუალურობით, არის შრომისმოყვარე, მიზანდასახული, აქვს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და გააჩნია მენეჯერული უნარ-ჩვევები.

<u>**დასკვნა:**</u> პროფესიული თვისებების კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ლევან ნემსაძე** უნდა შეფასდეს 14 ქულით (მაქსიმალური ქულა 15).

<u>**2.5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა**</u>

ლევან ნემსაძე ღიაა სიახლეების მიმართ, აქვს თვითგანვითარების უნარი და შეძენილ ცოდნასა და უნარებს წარმატებით იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში.

კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

ლევან ნემსაძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

<u>დასკვნა:</u> აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ლევან ნემსაძე** უნდა შეფასდეს 6 ქულით (მაქსიმალური ქულა 10).

<u>2.6. პროფესიული აქტივობა</u>

ლევან ნემსაძე არ ერიდება ინიციატივებს, შეუძლია ახალი წინადადებებისა და იდეების წარმოდგენა. კანდიდატი 2024 წლიდან არის გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტი.

2019-2020 წლებში იყო საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის წევრი.

2016 წლის 5-7 აპრილს მონაწილეობა მიიღო გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების GIZ-ის მიერ ორგანიზებული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სისტემის რეფორმის სტრატეგიის შემუშავების სამუშაო შეხვედრაში.

<u>დასკვნა:</u> პროფესიული აქტივობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ლევან ნემსაძე** უნდა შეფასდეს 5 ქულით (მაქსიმალური ქულა 5).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი **ლევან ნემსაძე <u>სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს</u>**, მისი შეფასების შედეგად, საერთო ქულათა რაოდენობამ შეადგინა **91** ქულა.

გიორგი გზობავა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი